ოქმი:**ო37. 3726114001**

თარიღი:**24/04/2026**

ოქმი N 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2026 წელი, 21 აპრილი

ქ. ოზურგეთი

16:00 -16:30- საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. კიკვაძე, ტ. აროშიძე, დ. ჭაკნელიძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, ქ. ხომერიკი, დ. ხურციძე, ტ .ბარამიძე, ბ. თოიძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 11 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ქალაქ ოზურგეთში საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2**.** „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე “- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დვაბზუს ადმინისტრაციულ ერთეულში(ს/კ 26.19.15.178) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის

თანხმობის მიცემის თაობაზე”- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

4. „ქალაქ ოზურგეთში ა. ნაკაშიძისა და ე. ნინოშვილის ქუჩების კვეთაზე „ეგნატე ნინოშვილის ბიუსტის“ განთავსების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

დავით ჭაკნელიძე

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

გადაწყვიტეს:

1. N1,2 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.

2. N3 საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას(ბ. თოიძე).

3. N4 საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას(დ. ჭაკნელიძე).

4. N5 საკითხი განსახილველად დაეწეროთ საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიებს და ფრაქციებს, მათ შორის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას(გ. ჩავლეშვილი) გაერთიანებული დასკვნის წარმოსადგენად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი